

# კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა - II ტური

## VIII კლასი

I სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

- 1. რამდენი ფორმაცვალებადი და რამდენი ფორმაუცვლელი სიტყვაა წინადადებაში?**  
*„ მაშინ მიხვდა თეიმურაზი, რომ იგი უკვე შეუდგა თავის გოლოგოთას. “*  
ა) ფორმაცვალებადი 4, ფორმაუცვლელი 5  
ბ) ფორმაცვალებადი 6, ფორმაუცვლელი 3  
გ) ფორმაცვალებადი 7, ფორმაუცვლელი 2
- 2. რამდენი დამოუკიდებელი და რამდენი დამხმარე სიტყვაა წინადადებაში?**  
*„ყველა რომ მდიდარი იყოს დედამიწაზე, ღარიბი ვინ მოიგონიოს. “*  
ა) დამოუკიდებელი 4, დამხმარე 4  
ბ) დამოუკიდებელი 6, დამხმარე 2  
გ) დამოუკიდებელი 7, დამხმარე 1
- 3. ჩამოთვლილთაგან რომელშია შეცდომა?**  
ა) ნიკას ყველაფერი კარგად ესმოდა და ამიტომ ენდობოდნენ მეგობრები.  
ბ) ყველაფერი ვუამბე დედას, მაგრამ მაინც მე გამამტყუნა.  
გ) ერთი-ორჯერ ძლიერათ შემოსძახა თამადამ.
- 4. დააკვირდით რთული სიტყვების მართლწერას, რამდენი შეცდომაა ტექსტში?**  
*„იყიდება საქართველო მინდორ-ველით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვებედით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, სტუმართ-მოყვარეობით, ლურჯი ზღვით, თვალ-წარმტაც ბანოვანთა გუნდებით, გონება გახსნილი ვაჭებით, პატივ-სადები მოხუცებით. იყიდება... “*  
ა) ოთხი                                      ბ) ხუთი                                      გ) ექვსი
- 5. ტექსტში ხაზგასმული სიტყვები სწორად და თანმიმდევრობით შეცვალეთ შესაბამისი ანტონიმებით:**  
*„ნელა შემობრუნდა. უხმოდ მოშორდა მოხუც დედაკაცს, თავის ნათლიას, რომელიც ფიქრობდა: შენი მტერია, ეს ნახევარი ჯამი ფქვილი კი დავკარგე. მარა ჩემი რძალი მაინც არ გაიგებდეს, რას უშველის საწყალს ნახევარი ჯამი. “*  
ა) ვიპოვე, მამაკაცი, ბედნიერი, ხმაურით  
ბ) ხმაურით, ვიპოვე, ბედნიერი, მამაკაცი  
გ) ხმაურით, მამაკაცი, ვიპოვე, ბედნიერი
- 6. რამდენი კუმშვად-კვეცადი სახელია წინადადებაში?**  
*„ ჩემი ქვეყნის მოყვარე ვარ, ჭირია თუ ლხინია, არ დავზოგავ ჩემს სიცოცხლეს, ეს პატარა გმირია. “*  
ა) ორი                                      ბ) სამი                                      გ) საერთოდ არ არის
- 7. ტექსტში ხაზგასმული სიტყვები სწორად და თანმიმდევრობით შეცვალეთ შესაბამისი სინონიმებით:**  
*„ ჩვენმა ხელმძღვანელმა გვითხრა რამდენიმე დღის წინ სკოლაში ჩატარებული ღონისძიების შესახებ, გვითხრა. თუ რა გამოხმაურება მოჰყვა პრესაში სკოლის სპექტაკლს. მან ისიც გვითხრა, რომ ამაში უდიდესი წვლილი დირექტორს მიუძღვის. მასწავლებელმა გვითხრა, რომ შემოდგომაზე მოსწავლეთა ფესტივალზე გაიტანენ ამ სპექტაკლს სკოლის სახელით. “*  
ა) დასძინა, გვაუწყა, მოგვიყვა, განაცხადა  
ბ) მოგვიყვა, დასძინა, განაცხადა, გვაუწყა  
გ) განაცხადა, მოგვიყვა, დასძინა, გვაუწყა



**21. რამდენი თანდებულიანი სახელია გამოყენებული ტექსტში?**

„კარებისკენ წავედი. შენობაში შევედი და ჩემი ოთახისკენ გავემზურე. რაღაც საეჭვო შევნიშნე. ჩემი ოთახის ფანჯრიდან იმ კაცს დავუწყე ყურება, შავი სათვალე რომ ეკეთა და დამნაშავესავით რომ იყურებოდა.“

- ა) ხუთი                                      ბ) ოთხი                                      გ) სამი

**22. შემოხაზეთ ის რიცხვები, რომელთა ადგილას მძიმე უნდა იყოს დასმული:**

„ყველამ ვიცით(1) ჩვენი ქვეყნის ისტორია (2) სავსეა თავდადებული გმირებითა და სამაგალითო საქმეებით. ქართველმა ხალხმა უამრავ განსაცდელს გაუძლო(3) მაგრამ არ გატყდა. ბევრი მამაცის სახელს (4) სამწუხაროდ(5) ჩვენამდე არ მოუღწევია. დღევანდელი ქართველობა(6) მათი მოგონებით ამაყოფს.“

- ა) 1, 2, 5, 6                                      ბ) 2, 3, 5, 6                                      გ) 1, 3, 4, 5

**23. რომელ წინადადებაში არაა გამოყენებული მხატვრული შესიტყვება ანუ ფრაზეოლოგიზმი?**

- ა) „რაც გითხარით, დაიხსომეთ და გუდა-ნაზადი აიკარით!“  
ბ) „როცა გათბა, ადგა და თოვლიან გზას გაუდგა.“  
გ) „სულის ამოხდომამდე ამუშავებდა საცოდავ გლეხებს.“

**24. რომელ წინადადებაში არაა შეცდომა?**

- ა) ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში უდიდესი გამარჯვება იყო.  
ბ) ტაძრებსა და მონასტრებში გაჩნდა ჩუქურთმა.  
გ) ავ ბედობის ჟამს მტერმა ვერაფელი დაგვაკლო.

**25. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

- ა) მეფე მირიანმა ქართლი გააქრისტიანა.  
ბ) თბილისს დიდი ფუნქცია ქონდა ერის განვითარებისათვის.  
გ) მრავალი კულტურული ღონისძიება ჩატარდა.

**ბონუს– სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა ,ბ ან გ ( 15 ქულა)**

**1. რომელი დებულებაა სწორი?**

- ა) თუ სახელის ფუძე ბოლოვდება მ-ზე, მოთხრობით ბრუნვაში ორი „ მ“ იყრის თავს.  
ბ) თუ სახელის ფუძე ბოლოვდება დ-ზე, ვითარებით ბრუნვაში ორი „ დ“ იყრის თავს.  
გ) ერთიცა და მეორეც

**2. რომელი დებულებაა სწორი?**

- ა) ხმოვანფუძიანებთან და თანხმოვანფუძიანებთან სახელობითი ბრუნვის ნიშანია „ი“  
ბ) კვეცა ხდება სამ ბრუნვაში  
გ) იკუმშება ა, ე და ო ხმოვნები

**3. რომელი აზრია სწორი?**

- ა) ლიმონი კუმშვადი სახელია.  
ბ) ადამიანის სახელებს მრავლობითი რიცხვი არ გააჩნიათ.  
გ) ადამიანის გვარები უკვეცელია.

**4. კუმშვადი სახელია:**

- ა) მამალი                                      ბ) მეურვე                                      გ) იმპერატორი

**5. ვითარებითის ზმნიზედაა:**

- ა) გაისად                                      ბ) უეცრად                                      გ) იქით